ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5836710

ნომერი: AR1882054

თარიღი : 25.02.2022

გაცემის თარიღი : 07.03.2022

გაცნობის თარიღი : 09.03.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარუხის გმირები , N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ გორგასლიძე პ/ნ 01005028865
- თბილისი გიორგი შატბერაშვილის I შეს. N 9 ბ. 11

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

..მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი: დაწვრილებით ასახეთ განსახორციელებელი სამუშაოები. ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა განსახორციელებელი სამუშაოების სრულყოფილი აღქმის შესაძლებლობას.

..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოადგინეთ დღეის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა თარიღის ფიქსაციით. ფოტოზე კონსტურის სახით მონიშნეთ საპროექტო ადგილი.

..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : დამატებით წარმოადგინეთ არსებულ ფოტოზე დამუშავებული საპროექტო ფოტომონტაჟი გაბარიტული ზომების დატანით.

- წარმოდგენილი გეოლოგია ვერ ჩაითვლება მისაღებად რადგან არ არის წარმოდგენილი ადგილის გეგმა ჩატარებული კვლევის წერტილების ჩვენებით, შესაბამისად უკვე წარმოდგნეილ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას ადგილის გეგმა შურფის ადგილების ჩვენებით.

- წარმოდგენილი იქნას კონსტრუქციული დასკვნა, რომ დაგეგმილი სამუშაოები არ გამიწვევს შენობის მდგრადობის გაუარესებას.

- განმარტეთ სამშენებლო სამუშაოები დაგეგმილია საერთო საკუთრებაში არსებულ ფართზე თუ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ ნაწილზე. თუ სამუშაოები დაგეგმილია კონკრეტულ ფართზე საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ ფართის ამონაწერი. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები დაგეგმილია საერთო საკუთრებაში არსებულ ფართზე, წარმოადგინეთ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კანონის შესაბამისად შედგენილი ოქმი განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. საჭიროა წარმოადგინოთ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, წარმოდგენილ იქნეს კრების ოქმი, რომელსაც დაესწრო ამხანაგობის 2/3 (67%) და კრებაზე განსახილველ საკითხს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.